

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს იონფაუ ჯორჯია

AG International Consulting
Member of EuraAudit International
Audit & Business Advisory Services

AGIC
certified member 
EuraAuditInternational

შპს „იონფაშ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	12
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები.....	13

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 12 დეკემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
მერთ იუმუშაქერ

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 12 დეკემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
მერთ იუმუშაქერ

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს დამფუძნებლებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 11,464,440 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 9,796,405 ლარს). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ისტორიული ღირებულების დასადასტურებლად, შესაბამისად ჩვენ არ გვაქვს მტკიცებულებები საჭიროებდა თუ არა კომპანიის ძირითადი საშუალებები კორექტირებას.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 8,979,663 ლარის ღირებულებებით (2017 წლის 31 დეკემბერი: 7,539,588 ლარი). აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მარაგების თვითღირებულებაში ასახვის სიზუსტის დადასტურება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული თვითღირებულების იმ ხარჯების სისწორეში რომელიც დაკავშირებულია მარაგების ჩამოწერასთან, რაც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული იყო 30,293,536 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 8,638,307 ლარის ოდენობით (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,794,464 ლარი). ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აღნიშნული აქტივის და მასთან დაკავშირებული ანარიცხის დასადასტურებლად.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2019 წლის 12 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი ანგარიშის “პირობითი მოსაზრების საფუძვლების” აზრადში განხილულ საკითხებთან დამატებით, აუდიტის ძირითად საკითხებად ჩავთვალეთ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები დაგეგმილილი იყო მთლიანი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ ჩამოთვლილი არცერთი ძირითადი საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. წინა პერიოდის აუდიტი განხორციელებული იყო შპს „თიემსი“-ს მიერ.

ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშების იმ მუხლების საწყისი ნაშთები რომლებიც გავლენას ახდენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად ჩვენ ვერ გამოვთქვავთ მოსაზრებას, რომ შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს 2017 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია მსს „ფასს“-ის შესაბამისად.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობი ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ

მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის დ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების სფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
EuraAudit International-ის წევრი
2019 წლის 12 დეკემბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების სფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გ. პ. ჩაგელიშვილი

აუდიტორის დასკვნა

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი

ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
EuraAudit International-ის წევრი
2019 წლის 12 დეკემბერი



თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	11,464,440	9,796,405	8,957,617
არამატერიალური აქტივები		766	4,894	9,023
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,465,206	9,801,299	8,966,640
მოკლევადიანი აქტივები				
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5	1,881	559,496	523,351
მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი		208,084	289,096	191,498
მარაგები	6	8,979,663	7,539,588	5,995,897
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	8,638,307	7,794,464	8,814,370
გადახდილი ავანსები		192,785	1,079,366	33,350
გაცემული სესხები		2,149	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	317,050	745,484	1,007,550
სულ მოკლევადიანი აქტივები		18,339,919	18,007,494	16,566,016
სულ აქტივები		29,805,125	27,808,793	25,532,656

დირექტორი
მერთ იუმუშაქერ

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4 11,464,440	9,796,405	8,957,617
არამატერიალური აქტივები	766	4,894	9,023
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,465,206	9,801,299	8,966,640
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი მარაგები	5 1,881	559,496	523,351
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	208,084	289,096	191,498
გადახდილი ავანსები	6 8,979,663	7,539,588	5,995,897
გაცემული სესხები	7 8,638,307	7,794,464	8,814,370
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	192,785	1,079,366	33,350
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,149	-	-
	8 317,050	745,484	1,007,550
	18,339,919	18,007,494	16,566,016
სულ აქტივები	29,805,125	27,808,793	25,532,656

დირექტორი
მერთ იუმუშაძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	51,500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		9,126,699	4,699,372	2,832,713
სულ კაპიტალი		9,126,699	4,699,372	2,884,213
ვალდებულებები				
გრძელვადიანი				
ვალდებულებები				
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9	136,941	-	2,865,376
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		136,941	-	2,865,376
მოკლევადიანი				
ვალდებულებები				
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9	796,218	-	-
საგადასახადო	10	518,948	53,833	24,426
ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		46,572	353,969	31,829
სავაჭრო და სხვა	11	19,179,747	22,701,619	19,726,812
ვალდებულებები		20,541,485	23,109,421	19,783,067
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		20,541,485	23,109,421	19,783,067
სულ ვალდებულებები		20,678,426	23,109,421	22,648,443
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		29,805,125	27,808,793	25,532,656

დირექტორი
მერთ იუმუშაქერ

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	-	51,500
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	9,126,699	4,699,372	2,832,713
სულ კაპიტალი	9,126,699	4,699,372	2,884,213
ვალდებულებები			
გრძელვადიანი			
ვალდებულებები			
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9 136,941	-	2,865,376
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	136,941	-	2,865,376
მოკლევადიანი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9 796,218	-	-
საგადასახადო	10 518,948	53,833	24,426
ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	46,572	353,969	31,829
სავაჭრო და სხვა	11 19,179,747	22,701,619	19,726,812
ვალდებულებები	20,541,485	23,109,421	19,783,067
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	20,678,426	23,109,421	22,648,443
სულ ვალდებულებები	20,678,426	23,109,421	22,648,443
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	29,805,125	27,808,793	25,532,656

დირექტორი

მერთ იუმუშაქერ

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველოფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	37,885,812	35,912,169
თვითღირებულების ხარჯები	13	(30,977,327)	(29,577,822)
საერთო მოგება		6,908,485	6,334,347
სხვა საოპერაციო ხარჯები		(11,043)	(10,409)
მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	14	(1,147,203)	(756,426)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(971,000)	(838,155)
საოპერაციო მოგება		4,779,239	4,729,357
ფინანსური ხარჯები		(124,831)	(142,345)
ფინანსური შემოსავალი		1,100	8,153
წმიდნა საკუთსო მოგება/(ზარალი)		96,565	(2,020,845)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	40,659	56,383
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17	(181)	(353)
მოგება დაბეგრამდე		4,792,551	2,630,350
მოგების გადასახადის ხარჯი		(81,013)	(51,884)
წმინდა მოგება		4,711,538	2,578,466

დირექტორი
მერთ იუმუშაქერ

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	37,885,812	35,912,169
თვითღირებულების ხარჯები	13	(30,977,327)	(29,577,822)
საერთო მოგება		<u>6,908,485</u>	<u>6,334,347</u>
სხვა საოპერაციო ხარჯები		(11,043)	(10,409)
მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	14	(1,147,203)	(756,426)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(971,000)	(838,155)
საოპერაციო მოგება		<u>4,779,239</u>	<u>4,729,357</u>
ფინანსური ხარჯები		(124,831)	(142,345)
ფინანსური შემოსავალი		1,100	8,153
წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი)		96,565	(2,020,845)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	40,659	56,383
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	17	(181)	(353)
მოგება დაბეგვრამდე		<u>4,792,551</u>	<u>2,630,350</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		(81,013)	(51,884)
წმინდა მოგება		<u>4,711,538</u>	<u>2,578,466</u>

დირექტორი
მერთ იუმუშაძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მენეჯერი
თემურ გოგბაიძე

2019 წლის 12 დეკემბერი
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,832,713	51,500	2,884,213
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	2,578,466	-	2,578,466
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	2,578,466	-	2,578,466
დივიდენდების გადახდა	(711,807)	-	(711,807)
საკუთარი კაპიტალის შემცირება	-	(51,500)	(51,500)
ოპერაციები დამფუძნებლებთან	(711,807)	(51,500)	(763,307)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,699,372	-	4,699,372
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	4,711,538	-	4,711,538
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	4,711,538	-	4,711,538
დივიდენდების გადახდა	(284,211)	-	(284,211)
ოპერაციები დამფუძნებლებთან	(284,211)	-	(284,211)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,126,699	-	9,126,699

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	4,711,538	2,578,466
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა	234,585	196,515
ამორტიზაცია	4,128	4,128
მოგების გადასახადი	81,013	51,884
საპროცენტო ხარჯი	124,831	142,345
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		
მიღებული მოგება	(17,270)	(44,269)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	(54,724)	2,086,258
საპროცენტო შემოსავალი	(1,100)	(8,153)
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	5,083,001	5,007,174
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(828,792)	1,051,108
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(3,640)	-
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(307,400)	322,141
ცვლილებები მარაგებში	(1,440,075)	(1,543,691)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	557,615	(36,145)
ცვლილება გაცემულ ავანსებში	886,581	(1,046,015)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	465,115	29,408
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(3,379,382)	667,224
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,033,023	4,451,204
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(149,482)
გადახდილი პროცენტი	(105,222)	(254,672)
მიღებული პროცენტი	1,089	8,153
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	928,890	4,055,203
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,889,333)	(777,506)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3,983	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,885,350)	(777,506)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება მიღებული სესხებიდან	2,825,768	-
შემოძინება გაცემული სესხიდან	1,502	-
მიღებული სესხების დაფარვა	(1,888,081)	(2,684,359)
დივიდენდების გადახდა	(284,211)	(711,807)
საკუთარი კაპიტალი გამოსყიდვა	-	(51,500)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	654,978	(3,447,666)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(301,482)	(169,969)
უცხოური ვალუტის ეფექტიფულზე	(126,952)	(92,097)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	745,484	1,007,550
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	317,050	745,484

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „იონფაშ ჯორჯია“ დაფუძნდა 2009 წლის 28 მარტს. საიდენტიფიკაციო კოდი: 200271721, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია; კომპანიის იურდიული მისამართი: საქარველო, თბილისი, გლდან-ნაძლადევის რაიონი, ლიბანის ქ., N6. კომპანიის დამფუძნებლები არიან: ჰილმი დერინელი (პ/ნ 24971170708) – 50%, უფუქ დერინელი (პ/ნ 24968170872) – 23%, ადამ დერინელი (პ/ნ 24962171080) – 22% და მერთ იუმშაქერ (პ/ნ 01092003974) – 5%.

შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლამინირებული იატაკით, სხვა ლამინირებული მასალებით, მეტალო-პლასტმასის მასალებით და ავეჯის მასალებით ვაჭრობა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, პირველადი გამოყენებით, ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

– შენობა-ნაგებობები	5%
– მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	20%
– ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
– სატრანსპორტო საშუალებები	20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და ძირითადად მოიცავენ კომპიუტერულ და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყის ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმა არის 15%.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაციემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ბალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწვდიან კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. ძირითადი საშუალებები

ფიქსირებული აქტივები	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31.12.2016	2,597,441	2,792,965	74,835	130,723	823,171	2,953,036	9,372,171
დანამატები	-	-	241,203	32,202	198,390	675,429	1,147,224
აქტივების ჩამოწერა	-	-	(154)	(7,946)	(135,389)	-	(143,489)
შიდა გადაადგილება	-	7,050	23,832	11,604	-	(42,486)	-
ბალანსი 31.12.2017	2,597,441	2,800,015	339,716	166,583	886,172	3,585,979	10,375,906
დანამატები	1,294,685	235,315	84,467	7,304	267,563	404,955	2,294,289
აქტივების ჩამოწერა	-	(357,211)	(1,017)	(2,542)	(71,351)	-	(432,121)
შიდა გადაადგილება	-	3,745,699	-	2,268	-	(3,747,967)	-
ბალანსი 31.12.2018	3,892,126	6,423,818	423,166	173,613	1,082,384	242,967	12,238,074
აკუმულირებული ცვეთა							
ბალანსი 31.12.2016	-	(161,102)	(38,033)	(56,232)	(159,187)	-	(414,554)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(56,931)	(32,580)	(23,513)	(83,491)	-	(196,515)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	67	3,997	27,504	-	31,568
ბალანსი 31.12.2017	-	(218,033)	(70,546)	(75,748)	(215,174)	-	(579,501)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(57,121)	(45,857)	(28,098)	(103,509)	-	(234,585)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	11,821	153	151	28,327	-	40,452
ბალანსი 31.12.2018	-	(263,333)	(116,250)	(103,695)	(290,356)	-	(773,634)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 31.12.2016	2,597,441	2,631,863	36,802	74,491	663,984	2,953,036	8,957,617
ბალანსი 31.12.2017	2,597,441	2,581,982	269,170	90,835	670,998	3,585,979	9,796,405
ბალანსი 31.12.2018	3,892,126	6,160,485	306,916	69,918	792,028	242,967	11,464,440

5. წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
წინასწარგადახდილი სოციალური გადასახადები	1,881	1,881
წინასწარგადახდილი დღგ	-	557,615
სულ წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	1,881	559,496

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
მერქან ბურბუშელოვანი ფილა	1,950,628	2,216,447
მეტალოპლასტმასი	1,811,680	1,914,540
პარკეტი	1,421,193	1,656,728
ავეჯის აქსესუარები	1,253,449	84,346
ნედლეული და მასალები	680,551	563,057
საცხოვრებელი ბინები	513,431	-
მდფ	511,279	289,307
ევოგლოსი	207,461	297,118
მანქანა დანადგარები	197,583	252,438
ალუმინი	177,246	65,758
კარის პანელები	110,682	70,592
პრინტპანი	88,742	113,883
მაგიდის ზედაპირი	55,738	15,374
სულ მარაგები	8,979,663	7,539,588

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
მისაღები ვალდებულება ძირითადი საქმიანობიდან	8,638,307	7,793,864
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	600
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,638,307	7,794,464

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
ლარები საბანკო ანგარიშებზე	143,694	535,698
ევრო საბანკო ანგარიშებზე	18,548	120,273
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	2,193	2,437
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	164,435	658,408
ნაღდი ფული სალაროში ლარი	150,848	75,644
ნაღდი ფული სალაროში აშშ დოლარი	1,767	11,432
ჯამურად ფულადი ნაშთები სალაროში	152,615	87,076
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	317,050	745,484

9. პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
გადასახდელი სესხის გრძელვადიანი ნაწილი (იმ ბანკი საქართველო)	796,218	-
გადასახდელი სესხის მიმდინარე ნაწილი (იმ ბანკი საქართველო)	115,355	-
გადასახდელი პროცენტი (YONPAS ORMAN URUNLERI SANAYI TIGARET AS)	21,586	-
სულ პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	933,159	-

მიღებული სესხები შედგება ორი სასესხო ხელშეკრულებისგან:

1. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებულია იმ ბანკი საქართველო-სთან, სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 1,500,000 ლარს, სესხის საპროცენტო განაკვეთი წლიური 10,1%, სესხის ვადა 24 თვე, სესხი რეგულირდება 2018 წლის 13 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით.
2. სასესხო ხელშეკრულება გაფორმებულია YONPAS ORMAN URUNLERI SANAYI TIGARET AS-სთან, სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 536,922 აშშ დოლარს, სესხის საპროცენტო განაკვეთი წლიური 11,5%, სესხის ვადა 12 თვე, სესხი რეგულირდება 2018 წლის 01 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით.

10. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
გადასახდელი დღგ	483,163	-
გადასახდელი მიწის გადასახადი	14,824	349
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	10,979	10,978
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	5,341	10,007
გადასახდელი ქონების გადასახადი	4,641	32,499
სულ საგადასახადო ვალდებულებები	518,948	53,833

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	19,178,347	22,701,619
გადასახდელი ხელფასები	1,400	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,179,747	22,701,619

12. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2018 წელი	2017 წელი
მერქან ბურბუშელოვანი ფილას რეალიზაცია	20,011,921	18,277,479
მეტალოპლასტმასის რეალიზაცია	4,950,114	5,130,501
პარკეტის რეალიზაცია	3,146,935	4,344,989
მდფ-ის რეალიზაცია	2,894,455	2,012,375
ევოგლოსის რეალიზაცია	1,371,288	1,269,237
მანქანა დანადგარის რეალიზაცია	1,108,683	1,136,251
ნედლეულის და მსაღების რეალიზაცია	1,000,777	1,035,957
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	786,229	556,027
პრინტპანის რეალიზაცია	681,447	1,174,280
საცხოვრებელი ბინების რეალიზაცია	575,684	-
კარის პანელების რეალიზაცია	410,662	449,631
მაგიდის ზედაპირის რეალიზაცია	359,561	451,295
ალუმინის რეალიზაცია	342,983	170,096
ავეჯის აქსესუარების რეალიზაცია	332,926	-
შემოსავალი სარემონტო სამუშაოებიდან	187,440	146,915
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(275,293)	(242,864)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	37,885,812	35,912,169

13. თვითღირებულების ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
გაყიდული საქონლის შესყიდვის ხარჯები	30,293,536	29,031,934
შრომის ანაზღაურება	477,304	372,886
ცვეთა და ამორტიზაცია	206,487	173,002
სულ თვითღირებულების ხარჯები	30,977,327	29,577,822

14. მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
საწვავის ხარჯი	461,686	304,779
ფულის დაბრუნება კონტრაგენტებზე		
განხორციელებულ მსხვილ რეალიზაციებზე	440,677	276,529
სატრანსპორტო ხარჯები	141,127	152,289
შრომის ანაზღაურება	82,086	17,625
სარეკლამო პროდუქციის მიწოდება	20,166	2,412
მარკეტინგის ხარჯები	1,461	2,792
სულ მარკეტინგის და დისტრიბუციის ხარჯები	1,147,203	756,426

15. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
შრომის ანაზღაურება	455,366	371,550
კომუნალური ხარჯები	135,809	80,199
საკონსულტაციო ხარჯები	105,995	107,397
საგადასახადო ხარჯები	89,156	80,300
სადაზღვევო ხარჯები	32,780	34,701
ცვეთა და ამორტიზაცია	32,227	27,640
მივლინების ხარჯები	26,982	9,221
საბანკო ხარჯები	18,123	4,166
კომუნიკაციის ხარჯები	17,169	16,597
საკასო, ჯიპიეს, კვტები, 112 - ხარჯი	13,115	17,347
საკანცელარიო ხარჯები	12,802	16,078
საჯარო რეესტრისა და აღსრულების ბიუროს ხარჯები	12,189	10,965
კომპიუტერის ხარჯები	7,212	8,401
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,568	12,880
საწევრო გადასახადი	3,600	5,145
დაცვის ხარჯები	1,373	10,435
იჯარის ხარჯები	-	4,894
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1,534	20,239
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	971,000	838,155

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2018 წელი	2017 წელი
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		
მიღებული მოგება	17,270	44,269
დავალიანების ჩამოწერა	23,389	12,114
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	40,659	56,383

17. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. აგრეთვე, კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები მოთხოვნებზე, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

მიმდინარე სასამართლო დავები:

1. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს თბილისი პაკინგი, შპს გლობალ ქემისტრი
დავის განმხილველი ორგანო - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
დავის არსის მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიასა და შპს თბილისი პაკინგს შორის არსებობდა საიჯარო ურთიერთობა. შპს თბილისი პაკინგის მიერ არ მოხდა საიჯარო ქირის ჯეროვნად გადახდა. შპს გლობალ ქემისტრიმ, სოლიდარული თავდების განცხადების საფუძველზე იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა შეესრულებინა შპს თბილისი პაკინგის მიერ მოსარჩელის მიმართ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ნებისმიერი და ყველა ვალდებულება.
დავის თანხა - 32 521.42 ლარი
სავარაუდო შედეგი - წინამდებარე საქმეზე, მოსალოდნელია დავის შპს იონფაშ ჯორჯიას სასარგებლოდ გადაწყვეტა.
2. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს გლობალ ქემისტრი
დავის განმხილველი ორგანო - ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
დავის არსის მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიასა და შპს გლობალ ქემისტრის შორის არსებობდა საიჯარო ურთიერთობა. შპს გლობალ ქემისტრის მიერ არ მოხდა საიჯარო ქირის გადახდა.
დავის თანხა - 22685.12 ლარი
სავარაუდო შედეგი - წინამდებარე საქმეზე, მოსალოდნელია დავის შპს იონფაშ ჯორჯიას სასარგებლოდ გადაწყვეტა.
3. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს ჯორჯიან ბიზნესი, რუსლან ჯინჭარაძე
დავის განმხილველი ორგანო - ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
დავის არსის მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიასა და შპს ჯორჯიან ბიზნესს შორის არსებობდა ნასყიდობის გენერალური ხელშეკრულება. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა რუსლან ჯინჭარაძის უძრავი ქონება. შპს ჯორჯიან ბიზნესის მიერ არ განხორციელდა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა. არსებული დავალიანება შეადგენს 31 486.54 ლარს.
დავის თანხა - 31 486.54 ლარი
სავარაუდო შედეგი - წინამდებარე საქმეზე, მოსალოდნელია დავის შპს იონფაშ ჯორჯიას სასარგებლოდ გადაწყვეტა.
4. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს Wetzel Plaza
დავის განმხილველი ორგანო - საქართველოს უზენაესი სასამართლო
დავის არსის მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიამ, შპს Wetzel Plaza-ს კუთვნილი უძრავი ქონების შეძენის მიზნით, მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ელექტრონულ აუქციონში, რისთვისაც მან ბეს სახით გადაიხადა 50 000 ლარი. შპს Wetzel Plaza-მ უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, რისთვისაც მოსარჩელე ითხოვს ბეს თანხის დაბრუნებას 50 000 ლარის ოდენობით და ზიანის ანაზღაურებას 20 000 ლარის ოდენობით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქმე გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მოპასუხეს დაეკისრა ზიანის სახით 20 000 ლარის ანაზღაურება, ბეს ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
დავის თანხა - 70 000 ლარი
სავარაუდო შედეგი - წინამდებარე საქმეზე, მოსალოდნელია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩება.

აღსასრულებლად წარდგენილი საქმეები:

1. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს დიზაინ ჯორჯია, გოჩა სერგოშვილი
განმხილველი ორგანო - აღსრულების ეროვნული ბიურო
მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიასა და შპს დიზაინ ჯორჯიას შორის არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა გოჩა სერგოშვილის უძრავი ქონება. შპს დიზაინ ჯორჯიას მიერ არ განხორციელდა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა. არსებული დავალიანება შეადგენს 212 490.24 ლარს. გოჩა სერგოშვილის ქონება გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროს აუქციონის ჯგუფისთვის. აუქციონის ჩანიშვნა მოსალოდნელია უახლოეს მომავალში.
დავის თანხა - 212 490.24 ლარი
2. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს GFG Holding
განმხილველი ორგანო - აღსრულების ეროვნული ბიურო
მოკლე მიმოხილვა - შპს GFG Holding-ს, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, შპს იონფაშ ჯორჯიას სასარგებლოდ დაეკისრა 33700.87 ლარის გადახდა. საქმე უახლოეს პერიოდში უნდა გადაეგზავნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს აუქციონის ჯგუფს.
დავის თანხა - 33700.87 ლარი.
3. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - შპს ივლი, ივანე მამულაშვილი
განმხილველი ორგანო - კერძო აღმასრულებელი - ალექსანდრე ნათაძე
მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიასა და შპს ივლის შორის არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ივანე მამულაშვილის უძრავი ქონება. შპს დიზაინ ჯორჯიას მიერ არ განხორციელდა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა. დავა მხარეებს შორის შპს იონფაშ ჯორჯიას სასარგებლოდ დასრულდა. შპს ივლის დავალიანებას შეადგენს 306000 ლარი. არსებულ ეტაპზე, საქმის აუქციონის ჯგუფისთვის გადაცემამდე, უნდა მოხდეს უძრავი ქონების შეფასება.
დავის თანხა - 306000 ლარი.
4. მოსარჩელე - შპს იონფაშ ჯორჯია
მოპასუხე - ზვიად ქობალია, ელო გოგელიანი
განმხილველი ორგანო - თბილისის სააპელაციო სასამართლო
მოკლე მიმოხილვა - შპს იონფაშ ჯორჯიასა და ზვიად ქობალიას შორის არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ელო გოგელიანის უძრავი ქონება. ზვიად ქობალიას მიერ არ განხორციელდა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა. დავა მხარეებს შორის შპს იონფაშ ჯორჯიას სასარგებლოდ გადაწყდა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილება მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოდგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოდგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მიღებული სესხები
მერთ იუმუშაქერ	33,526	-	-
შპს ვინლაიფ	756,771	-	-
შპს დკ კონსტრუქცია YONPAS ORMAN URUNLERI SANAYI TIGARET AS	-	7,500	-
	-	3,741,851	21,585
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	790,297	3,749,351	21,585

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
მერთ იუმუშაქერ	9,714	-
შპს დკ კონსტრუქცია YONPAS ORMAN URUNLERI SANAYI TIGARET AS	-	187,242
	44,930	3,960,827
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	54,644	4,148,069

ოპერაციები მხარეებთან 2018 წელი	გადახდილი დივიდენდი	რეალიზაცია	შესყიდვები	მიღებული სესხები	გადახდილი სესხები	დაიცხული პროცენტი
ჰილმი დერინელი	284,211	-	-	-	-	-
შპს ვინლაიფ	-	993,895	188,653	-	-	-
შპს დკ კონსტრუქცია YONPAS ORMAN URUNLERI SANAYI TIGARET AS	-	201,761	-	-	-	-
	-	-	2,631,680	1,329,879	1,329,879	21,993
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	284,211	1,195,656	2,820,333	1,329,879	1,329,879	21,993

ოპერაციები მხარეებთან 2017 წელი	გადახდილი დივიდენდი	რეალიზაცია	შესყიდვები	მიღებული სესხები	გადახდილი სესხები	დაიცხული პროცენტი
ჰილმი დერინელი	696,333	-	-	-	-	-
მერთ იუმუშაქერ	15,474	-	-	-	-	-
შპს დკ კონსტრუქცია YONPAS ORMAN URUNLERI SANAYI TIGARET AS	-	3,382	-	-	-	-
	-	-	5,286,049	40,694	1,337,069	62,160
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	711,807	3,382	5,286,049	40,694	1,337,069	62,160

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2018 წელი	2017 წელი
დირექტორი (მერთ იუმუშაქერ)	113,300	78,750
დამფუძნებელი (ჰილმი დერინელი)	-	13,650
დამფუძნებელი (ადემ დერინელი)	-	2,540
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	113,300	94,940

18. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ნოლი ლარი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ გააჩნდა ბალანსის შემდგომი მოვლენები.

20. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 12 დეკემბერს.

შპს „იონფაშ ჯორჯია“

მმართველობითი ანგარიშგება

2018 წელი

1. კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იონფაშ ჯორჯია" წარმოადგენს 2009 წლის 20 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ რეგისტრირებულ საწარმოს, საიდენტიფიკაციო ნომერით 200271721. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ლიბანის ქ., №6.

საზოგადოების პარტნიორია ოთხი ფიზიკური პირი: უფუქ დერინელი /თურქეთი/ წილი 23%, ჰილმი დერინელი /თურქეთი/ წილი 50%, ადემ დერინელი /თურქეთი/ წილი 22%, მერთ იუმუშაქერ /თურქეთი/ წილი 5%.

კომპანიის მმართველობითი სტრუქტურაა: დირექტორი, დირექტორის მოადგილეები (ფინანსურ, ტექნიკურ, სავაჭრო და საბაზრო საკითხებში), ქვესტრუქტურებში დასაქმებული 45 თანამშრომელი.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

კომპანია ახორციელებს საქონლის შეძენას თურქეთში, რეალიზაციას საქართველოს, აგრეთვე აზიის ბაზრებზე.

საქონელს ძირითადად წარმოადგენს მერქანბოჭკოვანი და მერქანბურბუშელოვანი ფილები, ლამინირებული იატაკი, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები.

საწარმოს გააჩნია საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები და ორი საწყობი: თბილისში (18 128 მ²) და ბათუმში (14 156 მ²).

ადგილობრივ ბაზარზე კომპანიის საქმიანობის ძირითადი მომხმარებელია მცირე და საშუალო ბიზნესი.

3. კომპანიის მართვა და კადრები

საწარმოს საქმიანობის ოპერატიულ მართვას აწარმოებს დირექტორი.

წესდების შესაბამისად დირექტორი ერთპიროვნული წარმომადგენელია მესამე პირებთან ურთიერთობაში.

პარტნიორთა კრების თანხმობით ხორციელდება ისეთი ოპერაციები, როგორიცაა:

1. სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა;
2. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება/დასრულება;
3. უძრავი ქონების და ამასთან დაკავშირებული უფლებების შეძენა/გასხვისება/უზრუნველყოფა;
4. წლიური შედეგების დამტკიცება/შეფასება.

ბათუმში განთავსებული საწყობის (რომელიც არ წარმოადგენს ფილიალს) მართვა წარმოებს - სათავო ოფისიდან ოპერატიული კავშირის განხორციელებით და ადგილზე, საწყობის მენეჯერის და იქ დასაქმებულ თანამშრომელთა მიერ.

4. ჯანსაღი გარემო და უსაფრთხოება

საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „იონფას ჯორჯიას“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადექვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების სტანდარტებს, „იონფას ჯორჯია“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

საწარმოში შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

5. ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ: - განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი; - ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები; - დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით; ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები: - საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ; - ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის; აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება; - ნარკოდამოკიდებულება;

6. კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს „იონფას ჯორჯიას“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული, ახორციელებს

კონტროლს რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყო შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან

7. კომპანიის საფინანსო - ეკონომიკური მდგომარეობა და რისკფაქტორები

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების განგრძობითად სტაბილურია და არსებითი რყევები არ დაფიქსირებულა.

შემოსავლებთან დაკავშირებული ძირითად რისკს წარმოადგენს მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან დადებულ გარიგებებში დაკავშირებული საანგარიშსწორებო ვალუტა - აშშ დოლარი და ევრო, რომელთა მიმართ ლარის მერყეობა იწვევს საკურსო სხვაობებით წარმოქმნილ დაუეგმავ შემოსავლებსა და ხარჯებს.

შემოსავლებთან დაკავშირებულ რისკფაქტორს, აგრეთვე წარმოადგენს მყიდველებთან დადებული, არაუზრუნველყოფილი, ე.წ. კონსიგნაციით მიწოდებულ საქონელზე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობები. მიუხედავად მათი მოცულობის შემცირების ტენდენციისა, არსებულ ბაზარზე ჩამოყალიბებული წესების ფონზე, ვერ ხერხდება მიწოდება-ანაზღაურების სინქრონიზაცია.

8. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანია 2019-2020 წლებში გეგმავს ძლიერი და მიზანმიმართული მარკეტინგული პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს არსებული თუ პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი ახალი პროდუქტების იმპორტს და მიწოდებას, შესყიდული საქონლის სრულყოფას და მიწოდების მომსახურების ხარისხის დონის ამაღლებას, რაც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მომხმარებლების მოთხოვნები, ამასთან შეთავაზებული ფასები გავხადოთ მეტად კონკურენტული და ბაზარზე არსებულ მოთხოვნებზე მორგებული. შესაბამისად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში და სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარებით, კომპანია შეძლებს მისი საქმიანობის ძირითადი მიზნების მიღწევას.

კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

დირექტორი

მერთ იუმუშაქერი

თბილისი, საქართველო

2019 წლის 12 დეკემბერი

